პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილის გეგმა

საგანი : ქართული ენა

სწავლების საფეხური: დაწყებითი. IV კლასი

მასწავლებელი : თამარ ბერიძე

მოსწავლეთა რაოდენობა: 21 (სსსმ. არ არის)

გაკვეთილის ტიპი: სამოდელო .პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება.

გაკვეთილის თემა: ,,მგელი და კრავი" თარგმანი აკაკი წერეთლისა

ჩატარების თარიღი; 24 მაისი 2019 წელი

ხანგრძლივობა: 45 წუთი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტური ხაზის თავიდან ბოლომდე გააზრება და მოვლენების თანმიმდევრობით გადმოცემა: ნაწარმოებში ასახულ ამბებსა და პერსონაჟებზე მსჯელობა მათი საქციელის შეფასება პრობლემის დანახვა და გადაჭრის გზების ძიება, პერსონაჟის როლის განსასახიერებლად საჭირო მონაცემების დაუფლება. სცენის გათამაშება,

ესგ-ის სტანდარტი

ქართ. **(I) 2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა,გაგება-გააზრება და გადმოცემა.

●მსჯელობა მხატვრულ ნაწარმოეში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე;

●თანმიმდევრობის დაცვით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს;

●მიჰყვება მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს და თანმიმდევრულად გადმოსცემს ფაქტესა და მოვლენებსა და ფაქტებს.

ქართ დაწყ.(I) მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის ტემის მიმართ, ნაწარმოების პერსონჟის (ებ)ის ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაძრისის ახსნა.

● აფასებს გმირის საქციელს და განმარტავს თავის დამოკიდებულებას.

●მონაწილეობს მხატვრული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში

ქართ.დაწყ.**(I) 7** მოსწავლემ უნდა შეზლოს სტანდარტით განსაძღვრული სხვადასხვა თიპის ტექსტების წაკითხვა,გაგება და გააზრება

●გამოყოფს მხატვრულ ტექსტში სიუჟეტის განვითარების ეტაპებს.

ქართ დაწ.**(I)8**მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით.

●როლის განსასახიერებლად ადეკვატურად იყენებს დამხმარე საშუალებებს (ჟესტს,მიმიკას, მოძრაობას გარკვეულ არტიკულაციას,თვისებებისა და გრძნობების გამომხატველ მინიშნებებს.

	აქტივობს დასახელება	მეთოდი	კლასის ორგანიზაციის ფორმა	სასწავლო რესურსი	დრო	თიოეული აქტივობის ბოლოს მისაღწევი შედეგი	
1	საორგანიზაციო საკითხების გაცნობა-მოგვარება საგაკვეთილო მიზნების აქტივობების შეფასების კრიტერიუმებისა და ქცევის წესების გაცნობა.პოზიტიური განწყობის შექმნა.	ვერბალური კითხვა-პასუხი	საერთო-საკლასო	ცარცი დაფა	2 წთ	სასწავლო მიზნისა და მოლოდინების განსაზღვრა	
2	წინარე ცოდნის გააქტიურება .რა არის იგავი? ვინ არიან ხშირად იგავის პერსონაჟები.? შემდეგ პროექტორით გაშუქებულ მგლისა და კრავის სურათებზე გამოთქვამენ ვარაუდებს შესაბამისად დახასიათებენ მათ და იხსენებენ ინფორმაციას რა დამოკიდებულება შეიძლება იყოს მათ შორის.	ვერბალური გონებრივი იერიში,	საერთო-საკლასო ინდივიდუალური	პროექტორი სურათები	3 წთ	მოსწავლეები შეძლებენ წინარე ცოდნის გააქტიურებას	

3	სიღრმისეული წვდომა ყველა მოსწავლე თავისთვის ჩუმად ,კითხულობს,ვ თავაზობ მოსწავლეებს სტროფების გასწვრივ ფანქრით მიაწერონ პერსონაჟთა სახელები, რათა კარგად გაარკვიონ რომელი პერსონაჟი რას ამბობს.ხაზი გაუსვან უცხო სიტყვებს. კითხვის დასრულების შემდეგ დაიმება კითხვები წაკითხულის გააზრების შესამოწმებლად სად შეხვდნენ ერთმანეთს მგელი და კრავი? როგორ გესმით გამოთქმა ,,გამოიგონა შარები.“? ჩამოთვალეთ ბრალდებები, რომელიც მგელმა კრავს წაუყენა; -მგელი უხეშად მიმართავს კრავს ამცირებს მას,იპოვე ტექსტში სიტყვები,სადაც ეს ცანს. მოძებნეთ ადგილები, სადაც კრავი მგელს თავს აცონებს! კრავი მგელს მიმარტავს:,,ბატონო,“ ,, ჩემო ხელმწიფევ“ რისი გამომხატველია ამგვარი მიმართვა? -კრავი ეუბნება მგელს: ,,რას მერჩი მე საწყალსაო“,,,ჯერ ერთი წლისაც არა ვარ“ ამ სიტყვებით რას ცდილობს კრავი? -მგლის სიტყვებიდან რომელი სიტყვებია თქვენთვის ყველაზე თავხედური და მიუღებელი?-მგლის რომელ სიტყვებში გამომჟღავნდა საბოლოოდ მისი ნამდვილი ზრახვები? იპოვეთ ტექსტში ის სიტყვები,რომლებშიც გადმოცემულია იგავის დედააზრი.	ჩუმი კითხვის სტრატეგია კითხვა-პასუხი	ინდივიდუალური. საერთო - საკლასო საერთო-საკლასო	სახელმძღვანელო. ფანრები, სტიკერები	18წთ	მოსწავლე შეძლებს წაკითხულის გააზრებას,მოვლენების თანმიმდევრობით გადმოცემას,ძირითადითემის, იდეის ამოცნობას.	

4	მიუხედავად დიდი მცდელობისა,უმწეო კრავი ბოლოს მაინც ვერაგი მგლის მსხვერპლი ხდება რატომ მოხდა ისე,რომსაბოლოოდ მგელმაკრავი მოიგდო ზურგზე და წაიღო, ანუ დაამარცხა იგი?,თქვენი აზრით ვინ ან რამ უნდა მოასწესრიგოს ასეთ დროს მდგომარეობა? რაშია გამოსავალი? თქვენ რა ცხოვრებუსეული გამიცდილება მიიღეთ ამ იგავიდან? (საუბარი დაუკავშირდება დღევანდელობას,პირ ოვნების სამოქალაქო თვითშეგნებას) გაიხენეთ მსგავსი შემთხვევები. მოგვარდა თუ არა პრობლენა? ნაწარმოებებში თუ შეხვედრიხართ მსგავს სიტუაციას? (თუ ვერ დაასახელეს შევახსენებ მე და საზოგადოებაში განხილულ სიტუაციურ ამოცანებსა და გადაჭრის გზებს)	ვერბალური	საერთო-საკლასო ინდივიდუალური			კონკრეტული პრობლემის საფუძველზე გამოიტანენ შესაბამის დასკვნებს	
5	წყვილებში მუშაობა	ვენის დიაგრამა	საერთო-საკლასო	თანახის ფურცლები,მარკერები კალმები მაგნიტები	4წთ	მოახდენენ თანამშრომლობას , აზრთა გაცვლას - შეჯერებას.	
6	აქტივობა. როლური თამაში.	როლებში გაამაშება	ჯგუფური	მგლისა და კრავის ნიღაბი	5წთ	დაეუფლებიაბ პერსონაჟის როლის განსასახიერებელ უნარ-ჩვევებს. განივითარებენ ზეპირმეტყველების უნარებს.	
7	ჟესტების ენით პერსონაჟის გამოცნობა	როლებში გათამაშება	ჯგუფური		3 წთ	ხელი შეეწყობათ ჟესტებითა და მიმიკებით ამბის გადმოცემას	

8	მულტფილმის,,მგელი და კრავის“ ჩვენება	ვიდეო მეთოდი	საერთო-საკლასო	ფილმი	5.წთ	მოსწავლეები შეძლებენ წიგნში მოცემულ იგავსა და ნანახ მულტფილმს შორის მსგავსება - განსხვავების ამოცნობას	
9	საშინაო დავალების მიცემა სათანადო ახსნა-განმარტებით,სურვილ ისამებრ დააxასიათონ სასურველი პერსონაჟი,მისწერონ წერილი პერსონაჟს და შეასრულონ შესაბამისი ილუსტრაცია		ინდივიდუ ალური	სასახელმ ძღვანელ ო	2წთ		
10	შეფასება მოxდება განმავითარებელი, ,სა თანადო, ,კონკრეტულ ი კომენტარით,მიეთითე ბათ რაში ჰქოდათ წარმატება,xარვეზი და და რა არის საჭირო უკეთესი შედეგის მისაღწევად.		ინდივიდუ ალური	შეფასები ს რუბრიკ ა	3წთ	უკუკავშირი	

საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის

შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	დაბალი	საშუალო	მაღალი
საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურობა და ჩართულობა	მოსწავლე ნაკლებადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში,უჭირს კითxვებზე პასუxის გაცემა	ჩართულია საგაკვეთილო პროცესში,მონაწილე ობს პრაქტიკულ საქმიანიბაში,მაგრამ უჭირს კითxვებზე პასუxის გაცემა	მაქსიმალურადაა ჩართულია საგაკვეთილო პროცესში . აქტიურია მსჯელობისას იშველიებს არგუმენტებს

კონცენტრირება სამუშაოზე	უჭირს მუშაობის დროს კონცენრტირება	ძირითადად ერთვება საგაკვეთილო პროცესში	მთელი გაკვეთილის განმავლობაში კონცენტრირებულია სამუშაოზე
წყვილებში მუშაობა	მუშაობისას წყვილებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა	იმუშავეს კარგად,თუმცა ფუნქციები არათანაბრად იქნა გადა ნაწილებული	სამუშაო შესრულდა ორგანიზებულად . წყვილებს შორის ფუნქციები სწორად და თანაბრად გადანაწილდა
გაკვეთილში წამოჭრილი პრობლემის მოგვარების გზების პოვნა	ცდილობდნენ , მაგრამ შესაბამისად ვერ მოახდინეს პრობლემის გადაჭრა	დაასახელეს პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზა	დაასახელეს პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზა და გაამყარეს არგუმენტებით თუ რატომ აირჩიეს გადაჭრის ეს მეთოდები

გაკვეთილის თვითშეფასების რუბრიკა

	კრიტერიუმები	1	2	3
1	გაკვეთილის მიზანი იყო გასაგები და კონკრეტული			
2	აქტივობები ემსახურებოდა მიზნის მიღწევას			
3	გაკვეთილის დაწყება იწვევდა მოსწავლეთა მოტივაციას			
4	მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა ხელს უწყობდა მიზნის მიღწევას			

5.	.გამოყენებული რესურსი იწვევდა მოსწავლეთა მოტივაციას და აქტიურ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში			
6	შეფასების შედეგად მიღებული შედეგები შეესაბამებოდა მიზანს			
7	გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესი და შესაძლებლობები			
8	ყველა მოსწავლის მიმართ ყურადღება იყო თანაბრად გადანაწილებული			
9	ვიყენებდი აქტიური მოსმენის ტექნიკას			